ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N47

2014 წლის 19 ნოემბერი

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების და 53-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 23-ე მუხლების და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 1-ისა (თან ერთვის).

მუხლი 2.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 2-ისა (თან ერთვის).

მუხლი 3.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილება.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა რანგი	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
	1	2	3
1	მთავარი საჯარო თანამდებობა	გამგებელი	2650
2		გამგებლის პირველი მოადგილე	1700
3		გამგებლის მოადგილე	1500
4	წამყვანი საჯარო თანამდებობა	სამსახურის უფროსი	1000
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	გამგებლის წარმომადგენელი	850
6		განყოფილების უფროსი	850
5		გამგებლის თანაშემწე	800
6		მთავარი სპეციალისტი	700
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი	600
8		უფროსი სპეციალისტი	580
9		სპეციალისტი	560

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
1	სამსახურის უფროსი	1000
2	სამსახურის უფროსის მოადგილე	560
3	მთავარი სპეციალისტი (სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორი)	500
4	მთავარი სპეციალისტი (მორიგე ცვლის უფროსი)	530
5	სპეციალისტი (მეხანძრე-მაშველი)	475
6	სპეციალისტი (მძღოლი)	475
7	სპეციალისტი (დისპეტჩერი)	300